ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/140324/5

ქ. თბილისი **14 მარტი, 2024 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მიხეილ ახვლედიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ № 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი # TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს "ქარდ სოლუშენ"** (შემდგომში მიმწოდებელი), მისი დირექტორის, ვაჟა გელაშვილის სახით, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ N 47; ტელეფონის ნომერი: 599-72-38-89; ს/კ: 205023605, სს "საქართველოს ბანკი", კოდი №BAGAGE22, ა/ა № GE89BG0000000291177300

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით, გამოაცხადა **პლასტიკური ბარათების (CPV30160000 - მაგნიტური ბარათები)** შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (**NAT240003490)** და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **1 205.00 (ერთი ათას ორას ხუთი ლარი და 00 თეთრი)** ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტია ჩიპიანი პლასტიკური ბარათები რომელთა დასახელება, რაოდენობის, ერთეულის ფასის, ტექნიკური მახასიათებლების, საგარანტიო ვადის, წარმოშობის ქვეყნის, მწარმოებელი ფირმისა და მოდელის მითითებით თან ერთვის ხელშეკრულებას დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი N1 – „ფასების ცხრილი).

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აბზიანიძის ქ. №4.

4.3. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ ტენდერში წარმოდგენილ ნიმუშს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირობების შესაბამისად არ განხორციელდა საქონლის მიღება, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამავდროულად, მიმწოდებელს შესაბამისი დეფექტური აქტის შედგენიდან განესაზღვრება 1 (ერთი) სამუშაო დღე, რომლის განმავლობაშიც ვალდებულია უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით.

5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი

არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან).
5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედდებულებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3 მხარეთა უფლება
7.3.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
7.3.2.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
7.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
7.4.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
7.4.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.
7.4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმოს, მიწოდებილი საქონლი შეესაბამება თუ არა.ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვული ტექნიკური მახასიათებლებს.

8. გარანტია
8.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების ფასების ცხრილში (დანართი№1) მითითებულ მაჩვენებლებს.
8.1.1. მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება საგარანტიო პირობა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან 1 (ერთი) წლის ვადით. ამასთან, მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს), შესაბამისობაში იქნება დანართ №1-ში მითითებულ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის (დეფექტის), აღმოფხვრა ან/და წუნდებული სქონლის შეცვლა ახლით. შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული საქონლის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის

შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
9.4 ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადაში არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის საქონლის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3.შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შემდეგ გამოვლინდა, რომ რომელიმე მათგანი არ შეესაბამება დანართი N1-ით გათვალისწინებულ მახასიათებლებს და შერჩევა/შეფასების ეტაპზე შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენილ შემოთავაზებული საქონლის ნიმუშს, ასევე, დარღვეულია ამ ხელშეკრულების 7.1.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადა, აღნიშნული ჩაითვლება არაჯეროვან შესრულებად. ამასთანავე, შემსყიდველი უფლებამოსილია დააჯარიმოს მიმწოდებელი ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშერკულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2024 წლის 30 აპრილის ჩათვლით, გარდა ამ ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული ვადისა.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**„მიმწოდებელი“** **შპს "ქარდ სოლუშენ"**
_____	_____
მიხეილ ახვლედიანი ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	ვაჟა გელაშვილი დირექტორი
LEPL REVENUE SERVICE Digitally signed by LEPL REVENUE SERVICE Date: 2024.03.14 18:19:29 +04'00'	Vazha Gelashvili Digitally signed by Vazha Gelashvili Date: 2024.03.14 15:20:22 +04'00'

დანართი N1

№	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	მწარმოებელი და წარმოშობის ქვეყანა აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა, გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას	საგარანტიო ვადა	სავარაუდო რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება	მთლიანი ღირებულება	მიწოდების ვადები
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*
2	პლასტიკური ბარათები ჩიპით	ბარათი არის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, რომლის ზომები 85.725 x 53.975 x 0.76 mm აკმაყოფილებს ISO სტანდარტებს. ბარათი აღჭურვილია Mifare Classic 1K (MF1S50) კლასის ექვივალენტური პარამეტრების მქონე ჩიპით. ინტერფეისი: ISO/IEC 14443A; სიხშირე: 13,56 მეგაჰერცი. ბარათები დამზადებულია ქარხნული წესით; ბარათზე უხილავი მელნით დატანილია შემსყიდველის ლოგო, რომელიც გამოჩნდება მხოლოდ ულტრაიისფერი დანათებისას.	შპს ქარდ სოლუშენ, საქართველო.	ერთი წელი	500	2,41	1205	ხელშეკრულების გაფორმებიდან **(10)** სამუშაო დღე

შენიშვნა: ჩიპიანი პლასტიკური ბარათები უნდა იყოს თავსებადი შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული საბეჭდი მოწყობილობა ID ბარათების პრინტერი Zebra Technologies ZC350-ისა და დაშვების ელექტრონული სისტემის წამკითხავებთან;

შპს ქარდ სოლუშენ

დირექტორი ვაჟა გელაშვილი